ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა №12 / გორგასლის ქუჩა №71, მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 01.18.06.019.096, დაპროექტებული საოფისე შენობის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

2 0 2 6

ობიექტის მისამართი: ქ. ბათუმი, ბესიკის ქუჩა N39, ს/კ 05.28.38.007; ბესიკის ქუჩა N39-ის მიმდებარედ ს/კ 05.28.38.035

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: საოფისე შენობა

პროექტის ავტორები: დავით ბახტაძე

შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების ექსპერტი: სპარტაკ მელიქიშვილი

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება---------- 4

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 5

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 6

მისაწვდომობის შეფასება ---------- 7

გარე კედლების შეფასება ---------- 8

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 9

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 10

ლიფტის შეფასება ---------- 11

სახანძრო და საავარიო სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა - ნაგებობასთან მისასვლელი გზების შეფასება---------- 12

1	გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- **შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით კლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.**
- **შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:**
  - **თავშეყრის ჯგუფი თვ-3**
  - **+ 3.30** ნიშნულზე განთავსებული საკონფერენციო დარბაზი.
  - შეესაბამება 303.4 ქვეთავს.
  - **საქმიანი ჯგუფი სქ**
  - **- 3.30** ნიშნულზე განთავსებული გასახდელი (ქალების), გასახდელი (კაცების).
  - **+ 3.30** დან **+16.50** ნიშნულის ჩათვლით განთავსებული ოფისები.
  - **+ 6.60** დან **+16.50** ნიშნულის ჩათვლით განთავსებული სამზარეულო.
  - შეესაბამება 304.1 ქვეთავს.
  - **სავაჭრო ჯგუფი სვ**
  - **± 0.00** ნიშნულზე განთავსებული აფთიაქი.
  - შეესაბამება 309.1 ქვეთავს.
  - **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1**
  - **- 3.30** ნიშნულზე განთავსებული ინვენტარის საწყობი.
  - **± 0.00** ნიშნულზე განთავსებული აფთიაქის საწყობი.
  - **+ 3.30** ნიშნულზე განთავსებული ინვენტარის საწყობი.
  - **+ 13.20** ნიშნულზე განთავსებული ინვენტარის საწყობი.
  - შეესაბამება 311.2 ქვეთავს.
  - **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2**
  - **± 0.00** ნიშნულზე განთავსებული ოპტიკის საწყობი.
  - შეესაბამება 311.3 ქვეთავს.
  - **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს**
  - **± 0.00** ნიშნულზე განთავსებული ელ. ფარის ოთახი.
  - **- 3.30** ნიშნულზე განთავსებული სახანძრო ტუმბოების და ავზის ოთახი.
  - **+ 19.80** ნიშნულზე განთავსებული საქვაბე.
  - **შენობისგან დამოუკიდებლად განთავსებული საგენერატორო.**
  - შეესაბამება 303.1 ქვეთავს.

- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**
  - ოფისებისთვის ---------- 9,3 მთლიანი
  - სამზარეულოსთვის---------- 18,6 მთლიანი
  - სავაჭრო სივრცისთვის ---------- 2,8 მთლიანი
  - საკონფერენციო დარბაზისთვის ---------- ფიქსირებული
  - საწყობებისთვის ---------- 46,5 მთლიანი
  - ტექნიკური დანადგარების ოთახებისთვის---------- 27,9 მთლიანი
- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 21.25 მ-ს.
- შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე შეადგენს 18.30 მ-ს.
- საპროექტო შენობას გააჩნია 6 მიწის დონის ზევით და 1 მიწის დონის ქვევით განთავსებული სართული.
- საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი **(I-B)** შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. I-B ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად. არქიტექტურულ პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, რომელიც შესაძლებელია დაზუსტდეს კონსტრქუციულ პროექტში.
- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს და შენობის ასეთი ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრული 721 ქვეთავის მიხედვით.

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 2 სთ.
- გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 2 სთ.
- იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2 სთ.
- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 1 სთ.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს.
- **შენიშვნა:** *I ტიპის კონსტრუქციებში 601-ე ცხრილში ჩამოთვლილი შენობის ელემენტები არაწვადი მასალების უნდა იყოს. თუმცა დასაშვებია სახურავის კონსტრუქციაში, მათ შორის კოჭებში, წამწეებში, ჩარჩოებსა და ფენილებში წვადი მასალის გამოყენება, თუ ხე იქნება დამუშავებული ცეცხლმედეგობაზე, თანახმად 603.1 პუნქტისა.*

4	ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპიდან (**I-B**) გამომდინარე შენობის კონსტრუქციული ჩარჩო და მზიდი კედლების ცეცხლმედეგობა უტოდება 2 საათს, ხოლო ყველა იატაკის კონსტრუქციას უნდა გააჩნდეს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი (ცხრილი 601), რაც პროექტით გათვალისწინებულია და შესაბამისად დაკავებულობების აუცილებელი თარაზული გამიჯვნის მოთხოვნები, რაც 508.4 ცხრილში საათების მიხედვითაა დადგენილი, დაცულია.
- აივნები და მსგავსი ტიპის ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად. რაც შეეხება ნაშვერების 1406 ქვეთავთან შესაბამისობის საკითხს, აივნები დამზადებული არ არის წვადი მასალებისაგან, შესაბამისად აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნები ასეთ დეტალებზე არ ვრცელდება.
- გარე კედლებში არსებული ღიობების შვეულად გამიჯვნის აუცილებლობა არ არის, ვინაიდან შენობა სრულად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, რაც დასაშვებია 705.8.5 ქვეთავის მე-2 გამონაკლისით.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.
- გარე კედლებს არ მოეთხოვება პარაპეტი 705.11 ქვეთავის მე-4 გამონაკლისის თანახმად.
- შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას.
- 1022.5 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, არქიტექტურული პროექტის მიხედვით შიგა გასასვლელის გზა-კიბეებსა არ კვეთს ღიობები და გაყვანილობები გარდა აუცილებელი

გასასვლელი კარისა, მოწყობილობებისა და გაყვანილობებისა, რომლებიც სჭირდება დამოუკიდებელ განიავებას, სახანძრო მილდგარებს და ავარიულ განათებას.

- *შენიშვნა: გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების შემომზღუდავების გაყვანილობები დაცული უნდა იყოს 714-ე ქვეთავის შესაბამისად.*
- ***გაფრთხილება:*** *გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების შემომზღუდავებში აკრძალულია ისეთი გაყვანილობები, რომლებიც არ არის აუცილებელი გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების შემომზღუდავისთვის.*
- ***გაფრთხილება:*** *აღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებულ იქნას საინჟინრო პროექტებში.*
- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.
- თითოეული სართული დაყოფილია ცეცხლისაგან დაცულ ფართობად და ასეთი სახის გამიჯვნა უზრუნველყოფილია 707.3.10 ცხრილის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- გარე კედლებს +0.00 ნიშნულზე „2-5“ და „A-D“ღერძებში, 602 ქვეთავის თანახმად, მოეთხოვება 1 საათიანი ხანძარმედეგობის ხარისხი, რაც პროექტით გათვალისიწინებულია; +3.30 ნიშნულიდან ზევით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე გარე კედელს არც ღიობების რაოდენობის განსაზღვრა არ მოეთხოვება და არც ხანძარმედეგი კედელი;

  გარე კედლებს „1-2“, „5-1“, და „D-A“ღერძებში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე გარე კედელს არც ღიობების რაოდენობის განსაზღვრა არ მოეთხოვება და არც ხანძარმედეგი კედელი.
- **-3.30 და +3.30 ნიშნულებზე სწ-1 და სქ ჯგუფები ერთმანეთისგან ცეცხლმედეგი ზღუდეებით გამიჯვნას არ საჭიროებს 508.4 ცხრილის შესაბამისად.**
- +0.00 ნიშნულზე სწ-1 და სწ-2 ჯგუფები ერთმანეთისგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდეებით, ასევე 1 სთ-იანი ხანძარმედეგი კედლითაა გამიჯნული სვ და დს დაკავებულობები, რაც აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნას.
- სახანძრო ტუმბოებისა და ავზისა ოთახი, ყველა სხვა ფართობისგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდეებით, რაც აკმაყოფილებს 913.2.1 ქვეთავის გამონაკლისის მოთხოვნას.
- თარაზულ ანაწყობში არსებული ყველა შვეული ღიობი მთლიანად შახტის შემომზღუდავშია მოქცეული, რაც შეესაბამება 712.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

5	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- **ავტოსაშხეფი სისტემით უზრუნველყოფილია მთლიანი შენობა 903.2.1.3 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად.**

  შენიშვნა: ავტოსაშხეფი სისტემა ყველგან NFPA 13-ის მიხედვით უნდა დააყენონ.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

თანახმად 905.4 ქვეთავისა:

- გზა-კიბეზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან; წარმოდგენილი პროექტით, I კლასის მილდგარები განთავსებულია გზა-კიბეების საზღვრებში არსებულ ბაქნებზე.

გასათვალისწინებელია, რომ I კლასის სისტემის საშუალებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფები 77 მმ სახანძრო სახელოს უერთებენ ქანჩს. ეს სისტემა განკუთვნილია მათთვის, ვინც იცის, როგორ მართოს ძლიერი ჭავლი ხანძრის დროს.

თანახმად 905.5 ქვეთავისა:

- I კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია.
- საპროექტო შენობაში გატვალისწინებულია ასევე II კლასის სახანძრო მილდგარებიც.

გასათვალისწინებელია, რომ II კლასის სისტემის საშუალებით 51 მმ სახანძრო ონკანიდან წყალი მიეწოდება უპირველესად შენობაში მყოფთ ან სახანძრო-სამაშველო დანაყოფს თავდაპირველი რეაგირებისთვის.

თანახმად 905.3.1 ქვეთავისა:

- III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. III კლასის სახანძრო მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია მთელ შენობაში.
- თანახმად 905.6 ქვეთავისა, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს 905.4 ქვეთავში I კლასის და 905.5 ქვეთავში II კლასის სახანძრო მილდგარებისათვის განსაზღვრულ ადგილებში.

- ***სახანძრო მილდგარების სისტემა პირობითად ასახულია ხანძარსაწინააღმდეგო გეგმებზე. სახანძრო მილდგარების კლასი და ადგილმდებარეობა შეთანხმდეს საგანგებო სამსახურთან.***

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია თითოეულ სართულზე, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, **რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას** (სახანძრო სიგნალიზაცია), 907.2.9.1 ქვეთავის მოთხოვნების გათვალისწინებით. განგაშის კოლოფები განთავსებულია სართულების მომსახურე გასასვლელიდან 1,5 მეტრის საზღვრებში და მათთან მისადგომად არაა საჭირო 60 მეტრზე მეტი მანძილის გავლა, რაც შეესაბამება 907.4.2.1 ქვეთავს.
- **კვამლაღმომჩენები** მოწყობილია თითოეულ სართულზე, რომლითაც (სახანძრო განგაშის სისტემასთან ერთად) უნდა გააქტიურდეს ლიფტის დაწნევის სისტემა, რაც შეესაბამება 909.21.6 ქვეთავის მოთხოვნას.
- ყველა სართულზე გათვალისწინებულია **ვიზუალური/მხედველობითი განგაშის მოწყობილობები** 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- ლიფტის შახტა უზრუნველყოფილია დაწნევის სისტემით და არ გააჩნია ფოიე, რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის მე-6 გამონაკლისით.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით.
- სახანძრო მისაერთებელი განთავსებულია საზოგადოებრივი სივრცისკენ, სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან და ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაერთებელთა დაცულია 0,8მ.X0.9მ. და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- ***სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლის განთავსების არეალი შეთანხმდეს საგანგებო სამსახურთან.***

6 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- საპროექტო შენობის ყველა სართულს, დაკავებულობის დატვირთვიდან, სართულიანობიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე, ესაჭიროება 2 გასასვლელი (ცხრილი 1021.2(2), რაც პროექტით გათვალისწინებულია.
- შენობიდან გასასვლელები გადის პირდაპირ შენობის გარეთ და უზრუნველყოფს მიწის დონესთან დაუბრკოლებელ მისადგომს, რაც აკმაყოფილებს 1027.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- 1027.5 ქვეთავის მოთხოვნის თანახმად, შენობიდან გამოსასვლელები უზრუნველყოფს საზოგადოებრივ გზასთან პირდაპირ და დაუბრკოლებელ კავშირს.
- საპროექტო შენობის თითოეულ სართულს ემსახურება 2 გასასვლელი შემოზღუდული გზა-კიბის სახით.

- თითოეულ სართულზე გზა-კიბეებთან მისადგომი ორი აუცილებელი გზა-კარი ერთმანეთისგან დაშორებულია სართულის მაქსიმალური დიაგონალის მესამედზე მეტი მანძილით, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის გამონაკლისის მოთხოვნას.
- გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. გზა-კიბეების სუფთა სიგანე აკმაყოფილებს 1009.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- დერეფნის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. დერეფნის სიგანე და გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მოთხოვნას.
- გზა-კარის გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მოთხოვნას, კერძოდ, საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.
- გზა-კიბის საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- გზა-კიბეები ნიავდება მექანიკურად და აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემით.
- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
- დაცულია საფეხურების ერთგვაროვნება, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.
- დაკმაყოფილებულია საფეხურების ნაშვერების ზომა (2 სმ), რაც შეესაბამება 1009.7.5.1 და 1009.7.5.2 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები, ასევე კიბის მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.
- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.
- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.
- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.
- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და

ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- გასასვლელის ავარიული განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბის და საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

7	მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა საპროექტო შენობის თითოეული სართული მისაწვდომია.
- საპროექტო შენობის მთავარი შესასვლელები მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- თითოეულ სართულზე გათვალისიწნებულია შშმ პირებზე ადაპტირებული ტუალეტის ოთახები.
- თითოეული სართული მისაწვდომია და მას ემსახურება შშმ პირთათვის ადაპტირებული ლიფტი.

8	გარე კედლების შეფასება:

- საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს 20 სმ სისქის ბეტონის ღრუტანიანი ბლოკის ანაწყობს.
- რაც შეეხება გარე კედლების საფარს, გარე კედლებზე დათბუნებულია მინერალური ბამბით და შელესილია.
- გარე კედლების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 602 და 705.8.5 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით, , კერძოდ, „A-D“ და „5-1“ ფასადებზე, გარე კედლებს მოეთხოვება 1 საათიანი ცეცხლმედეგობა, ხოლო „5-1“ და „D-A“ ფასადებზე გარე კედლებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობა ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებიდან გამომდინარე. პროექტით, ყველა გარე კედლების ცეცხლმედეგობა სულ მცირე 2 საათია, ვინაიდან, როგორც არვნიშნეთგარე კედლის მასალად გამოყენებულია ბეტონის ბლოკები.
- გარე კედლებში მოწყობილი ღიობების დასაშვები პროცენტულობა აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.

9	სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის ბრტყელი, დაუკავებელი.
- სახურავზე მოწყობილია საქვაბე.
- სახურავის წყალარინი სისტემა იყენებს 100 მმ დიამეტრის წყალსადენ მილებს, რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სახურავზედა ნაგებობების (კიბის, ლიფტის, შახტების და სხვა ნაწილების) ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის ერთმესამედს, რაც აკმაყოფილებს 1509.2.2-ე ქვეთავის მოთხოვნას.
- 601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (**I-B** ტიპი) გამომდინარე სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს მოეთხოვება 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, თუმცა გადახურვა წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის სტრუქტურულ ნაწილს და მას გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობა.
- სახურავთან მიდგომა ხდება ორივე გზა-კიბის მეშვეობით, რაც აკმაყოფილებს 1009.16 ქვეთავის მოთხოვნას.

10	წყალსადენი სისტემების შეფასება:

- თითოეული სართული უზრუნველყოფილია 1602.2 ცხრილის შესაბამისი მინიმალური ფიქსირებული წყალსადენი სისტემებით. თითოეულ სართულზე განთავსებულია უნიტაზი და ხელსაბანი.
- თითოეული სართული უზრუნველყოფილია შშმ პირთათვის ადაპტირებული ტუალეტის ოთახით.
- ვინაიდან თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვა 15-ზე მეტია, ასევე გათვალისწინებულია ცალ-ცალკე სქესისთვის დამოუკიდებელი ტუალეტის ოთახები, რაც აკმაყოფილებს 1602.2 ქვეთავის მოთხოვნას.

11	ლიფტის შეფასება:

- საპროექტო დოკუმენტაციით დაკმაყოფილებულია 1701.5 ქვეთავის მოთხოვნა და შენობას ემსახურება ერთი ლიფტი.
- ლიფტი აკავშირებს 7 სართულს.
- ლიფტის სამანქანე განთავსებულია სახურავზე.
- ლიფტის შახტა აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემით.
- ლიფტს არ გააჩნია ფოიე, რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის მე-6 გამონაკლისით, ვინაიდან ლიფტის შახტა არის დაწნევადი.
- ლიფტი მისაწვდომია. კაბინის გაბარიტები უტოლდება 1400 X 2400 მმ-ს.
- საგანგებო ვითარებისას სახანძრო-სამაშველო დანაყოფს ყველა იატაკზე მოხვედრა შეუძლია „2-2: ღერძთან განთავსებული ლიფტის გამოყენებით. ლიფტის კაბინაში შესაძლებელია 60სმ×2,15მ ზომის, არანაკლებ, 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცის განთავსება გახსნილ, თარაზულ მდგომარეობაში. ლიფტთან დატანილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სიმბოლო (სიცოცხლის ვარსკვლავი). სიმბოლოს სიმაღლე 75 მმ-ია და განთავსებულია ლიფტის შახტის შემომზღუდავის კარის ჩარჩოს შიგნით, ორივე მხარეს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1702.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- ლიფტის შახტა შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომელა ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 2 საათით. აღნიშნული შეესაბამება 1702.1 ქვეთავის მოთხოვნას; ხოლო ლიფტის შახტის შემომზღუდავის ღიობი დაცულია მე-7 თავის მოთხოვნათა შესაბამისად და ასეთი ღიობში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 90 წუთით, რაც შეესაბამება 1702.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ყველა სართულზე თითოეული ლიფტის გამოძახების სადგურთან სტანდარტული დიზაინით შესრულებული გრაფიკული ნიშანია განთავსებული, რომელიც დამკავებლებს ამცნობს, რომ ხანძრისას უნდა გამოიყენონ გასასვლელის გზა-კიბე და არა ლიფტი. ნიშანზე წერია: „ხანძრის დროს ლიფტები არ მუშაობს. ისარგებლეთ კიბით“, რაც შეესაბამება 1702.3 ქვეთავს.
- ვინაიდან საპროექტო შენობა არ განეკუთვნება მაღლივის კატეგორიას, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ლიფტი არ არის გამოყენებული როგორც მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, ასევე როგორც სახანძრო სამაშველო დანაყოფისათვის მისადგომი და საევაკუაციო ლიფტი, მასზე არ ვრცელდება საგანგებო ვითარების მუშაობის რეჟიმისადმი მოთხოვნები, რაც განსაზღვრულია 1703 ქვეთავით.

12	სახანძრო და საავარიო სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა - ნაგებობასთან მისასვლელი გზების შეფასება.

- **915.3 ქვეთავის შესაბამისად,** შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე განსაზღვრულია სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზის ყველაზე დაბალი ნიშნულიდან და შეადგენს 18.30 მეტრს.
- **915.4 ქვეთავის შესაბამისად,** საპროექტო შენობასთან სახანძრო ტექნიკის მისასვლელი გზის სიგანე განსაზღვრულია სულ მცირე 6.0 მეტრით.
- **915.8 ქვეთავის შესაბამისად,** საპროექტო შენობასთან სახანძრო ტექნიკის მისასვლელი გზა შენობიდან დაცილებულია არანაკლებ 4.5 და არაუმეტეს 9.0 მეტრი მანძილით.
- **915.9 ქვეთავის შესაბამისად,** საპროექტო შენობასთან უზრუნველყოფილია სახანძრო ტექნიკის მისაწვდომი თავისუფალი სივრცე სულ მცირე 8 მეტრი ქუჩის მხრიდან.
- **915.11 ქვეთავის შესაბამისად**, საპროექტო შენობასთან სახანძრო ტექნიკის მისასვლელი გზა სავალდებულოა ერთი მხრიდან მთელ სიგრძეზე, თუმცა პროექტით გათვალისწინებულია სულ მცირე მხრიდან მთელ სიგრძეზე.
- **915.16 ქვეთავის შესაბამისად,** სახანძრო ტექნიკის დგომის ადგილის დახრა არ აღემატება 10%-ს.
- **915.25 ქვეთავის შესაბამისად,** სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზები არ არის ჩახერგილი ავტოსადგომებით.

დ ა ს კ ვ ნ ა:

ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა №12 / გორგასლის ქუჩა №71, მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 01.18.06.019.096, დაპროექტებული საოფისე შენობის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობასია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების ექსპერტი:

სპარტაკ მელიქიშვილი

28.07.2026

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

„ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

გაფრთხილება!

- არქიტექტურულ პროექტზე სახანძრო სისტემები დატანილია პირობითად, საინჟინრო პროექტები დეტალურად დამუშავდეს და შეთანხმდეს საგანგებო სამსახურთან.
- კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
- სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები (რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან) და სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.
- სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:
- ავტომატური ცეცხლქრობის სისტემა, განიავების და ცეცხლის/კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;
- ლიფტი და ლიფტის კაბინის განათება;
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად;
- არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე.
- უკანონოდ ჩაითვლება შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის

სპარტაკი მელიქიშვილი



მობილური: 995595989555
ელ-ფოსტა: smelikishvili@yahoo.com

დაბადების თარიღი: 18 იანვარი, 1969

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, სექტემბერი / 1990 - ივლისი / 1996
არქიტექტორი, არქიტექტურა
უმაღლესი განათლება

სამუშაო გამოცდილება

სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური ***თებ / 2015 - ივნ / 2016 (16 თვე - 1,5 წელი)***

მოვალეობები: I-II კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი

არქიტექტურული ჯგუფის ხელმძღვანელი, შ. პ. ს " არქსტუ-დია", ნოე / 2006 - ნოე / 2014 (96 თვე - 8 წელი)

მოვალეობები: პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

მიზეზი: პირადი განცხადების საფუძველზე

არქიტექტორი, შ. პ. ს " არქსტუდია", ნოე / 2004 - ნოე / 2006 (24 თვე - 2 წელი)

მოვალეობები: მშენებლობის მართვის სამსახური

მიზეზი: გადასვლა სხვა თანამდებობაზე

არქიტექტორი, შ. პ. ს " ბურჯი", ივლ / 2004 - ნოე / 2004 (4 თვე)

მოვალეობები: პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

მიზეზი: პირადი განცხადების საფუძველზე

უფროსი არქიტექტორი, შ. პ. ს " არქსტუდია", სექტ / 2002 - ივლ / 2004 (22 თვე - 1 წელი და 10 თვე)

მოვალეობები: პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

მიზეზი: პირადი განცხადების საფუძველზე

არქიტექტორი, შ. პ. ს"არქსტუდია", სექტ / 2000 - სექტ / 2002 (24 თვე - 2 წელი)

მოვალეობები: პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

მიზეზი: გადასვლა სხვა თანამდებობაზე

არქიტექტექტორი, **მ ს " თბილქალაქპროექტი"**, აგვ / 1999 - სექტ / 2000 (13 თვე - 1 წელი და 1 თვე)

მოვალეობები: პროექტირება

მიზეზი: პირადი განცხადების საფუძველზე

სრული სტაჟი: 199 თვე (16 წელი და 6 თვე)

ენები

ქართული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი), ინგლისური (წერა:კარგი, მეტყველება:კარგი), რუსული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი)

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD (ძალიან კარგი), 3D MAX (ძალიან კარგი), Photoshop (ძალიან კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Arc GIS (ძალიან კარგი), Windows 7 (ძალიან კარგი), Microsoft Office Excel (ძალიან კარგი), Microsoft Office Word (ძალიან კარგი)

პროექტები

- **PAPILON**, ოქტომბერი / 2013 - ნოემბერი / 2013
  სავაჭრო პავილიონი,
  ობიექტი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ნაკვეთი#25/21

- **სასტუმრო სამტრედიის ქუჩაზე**, მაისი / 2013 - ივნისი / 2013
  სასტუმრო,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, წერეთლის გამზირი #117.

- **საცხოვრებელი კომპლექსი**, თებერვალი / 2013 - მარტი / 2013
  საცხოვრებელი და კომერციული,
  პროექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში ნუცუბიძის IV მიკრო, ნაკვეთი 02/041.
  შენობა შვიდსართულიანია, პირველ სართულზე განთავსებულია კომერციული ფართები, ხოლო დანარჩენი სართულები არის საცხოვრებელი.

- **საცხოვრებელი ტიპის სასტუმრო**, ოქტომბერი / 2012 - ნოემბერი / 2012
  საცხოვრებელი ტიპის სასტუმრო,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანი, ავშნიანი, ნაკვეთი# 6/74
  ობიექტი გამოირჩევა მისი რელიეფით ნაწილი შენობის სამ სართულიანია, ნაწილი ერთი.

- **შეშელიძის 25ა**, ივლისი / 2012 - აგვისტო / 2012
  მრავალფუნქციური,
  პროექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქ #25ა შენობა ორსართულიანია და არის მრავალფნუქციური. პირველ სართულზე განლაგებულია ავტოსერვისის ბოქსები, ავტონაწილების მაღაზია, კაფე. მეორე სართულზე კი ოფისები.

- **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი**, აპრილი / 2011 - ივნისი / 2011

  ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ხეხილ-სანერგე მეურნეობა.

- **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი**, აგვისტო / 2010 - ოქტომბერი / 2010
  ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის პლატო, IV მიკრო,
  ნაკვეთი#003/055

- **PARK PLACE**, ნოემბერი / 2004 - მაისი / 2006
  საცხოვრებელი კომპლექსი,
  ობიექტი მდებარეობს ი.ჭავჭავაძის გამზირზე #80(ცუს ტბის ასასვლელთან)
  არქსტუდიამ განახორციელა მშენებლობის მენეჯმენტი, რომელ ჯგუფშიც ვიყავი მთავარი არქიტექტორი, აღნიშნული კომპლექსი ერთ-ერთი პირველი ობიექტია რომელიც ჩაბარდა დასრულებული ბინებით.

- **ჭავჭავაძის 23-23ა**, დეკემბერი / 2002 - მარტი / 2003
  საცხოვრებელი კომპლექსი,
  მივიღე მონაწილეობა პროექტირებაში შ.პ.ს"არქსტუდიის" ჯგუფთან ერთად

- **ბანკი რესპუბლიკა**, მარტი / 2002 - თებერვალი / 2003
  სათაო ოფისი,
  ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში გრიგოლ აბაშიძის # 2 (ყოფლი ატენის ქუჩა)
  მივიღე მონაწილეობა პროექტირებაში შ.პ.ს არქსტუდიის ჯგუფთან ერთად

- **ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი**, თებერვალი / 1999 - ოქტომბერი / 1999
  სამედიცინო ცენტრი,
  პროექტი შესრულდა მ.ს "ქალაქპროექტი"-ის ზურაბ ზურაბიშვილის სახელოსნოში

საკონტაქტო ინფორმაცია

მამის სახელი	არსენი
სქესი	მამრობითი
მოქალაქეობა	საქართველო
დაბადების ადგილი	თბილისი
სამხედრო ვალდებულება	სამხედრო მოსამსახურე
პირადი ნომერი	01006006674
სერია	18IB27392
ფაქტობრივი მისამართი	დიღმის მასივი/ მე-2 კვ/ მე-13კ/ ბ #62, თბილისი, საქართველო
რეგისტრაციის მისამართი	დიღმის მასივი/ მე-2 კვ/ მე-13კ/ ბ #62, თბილისი, საქართველო
ავტომანქანის მართვის მოწმობის ნომერი	AH # 0543331
სახლის ტელეფონი	2530269


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
სპარტაკ
SPARTAK
გვარი / LAST NAME
მელიქიშვილი
MELIKISHVILI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მ / M
01006006674
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
18.01.1969
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
05.09.2028
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
18IB27392


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
05.09.2018
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE018IB27392901006006674<<<<
6901187M2809056GE0<<<<<<<<<<<8
MELIKISHVILI<<SPARTAK<<<<<<<<<

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-030

გადაეცემა

სპარტაკ მელიქიშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო"

თეიმურაზ გოლოთაშვილი, დირექტორი

ღია საზოგადოების ფონდი

March 29-30, 2021

Accessible and Usable Buildings and Facilities - National Standards

Certificate awarded to

Spartak Melikishvili

Keti Khutsishvili
Executive Director

www.osgf.ge

4, Chovelidze street, Tbilisi 0108, Georgia, Tel: (+995 32) 225 04 63; E-mail contact@osgf.ge

დიპლომი

საქართველო

დიპლომი ФО № 012022

მიეცა სპარტაკ არსენის ძე ჭელოიძეშვილს

იმისა, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის სრული კურსი არქიტექტურის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით ს.ა. ჭელოიძეშვილს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 31 X 1996 წ.

რეგისტრაციის № 4719

<u>ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო შ ე ფ ა ს ე ბ ა</u>

ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა №12 / გორგასლის ქუჩა №71, მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 01.18.06.019.096, დაპროექტებული საოფისე შენობის არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან -„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“- შესაბამისობის დადგენის მიზნით

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 6

ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საფუძველზე შეფასდა:	
მისაწვდომი სვლაგეზი:	• მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები; • თითოეული კარი და კართან მანევრირებისთვის საჭირო სივრცეები; • ლიფტი.
ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები:	• მისაწვდომი გზაკიბეები
საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:	• ნიშნები.

მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. **მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

   - იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
   - საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.
   - იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.
   - მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. **კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
   - მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული არცერთი გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.
   - მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
   - გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.
   - კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.
   - იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. **შენობაში მოწყობილია 407 ქვეთავის შესაბამისი მისაწვდომი სამგზავრო ლიფტი.**

   ლიფტი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული არ არის ლიფტის ზუსტი სახეობა და არ არის დადგენილი ლიფტის ზუსტი სპეციფიკაციები, წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეფასდა ლიფტების ძირითად გაბარიტულ ზომებთან მოთხოვნის შესაბამისობის საკითხი:

- ლიფტის კაბინის კარი განთავსებულია კაბინის ცენტრში და ღიობის სუფთა სიგანე განსაზღვრულია არანაკლებ 900 მმ-ით, რაც შესაბამისობაშია 407.4.1 ცხრილის მოთხოვნასთან.
- ლიფტის კაბინის გაბარიტები უტოლდება 1400 X 2400 მ-ს, რაც ასევე შესაბამისობაშია 407.4.1 ცხრილის მოთხოვნებთან.

ადგილის და შენობის ელემენტები:

1. **საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:**
   - კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე უტოლდება 150 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 280 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.
   - კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.
   - საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.
   - კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.
   - კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები.
   - ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

1. **საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის**

თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- თითოეული გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან და 0.00 ნიშნულზე გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. **აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.**
- თითოეულ კარზე, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომს თავშესაფრის ფართობთან მომიჯნავე იატაკის ფართობიდან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“, მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოთი, **ასეთი ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავს ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით და ასეთი ნიშანი არის განათებული.**
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომ ტუალეტის ოთახებთან. **ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.**

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
  - სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.
  - სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.
  - ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.
  - სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.
- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
  - ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
  - ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასოგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.
- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.
- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.
- ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
  - მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.
  - მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.
  - მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

<u>შეფასება</u>

ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა №12 / გორგასლის ქუჩა №71, მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 01.18.06.019.096, დაპროექტებული საოფისე შენობის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან - „მისაწვდომობის ეროვნული სატანდარტები“-ს მოთხოვნებთან.

ექსპერტი: სპარტაკ მელიქიშვილი

21.04.2026

განმარტება

1027 ქვეთავის თანახმად, გასასვლელები უნდა გადიოდეს პირდაპირ შენობის გარეთ, რაც წარმოდგენილი პროექტით დაკმაყოფილებულია. აუცილებელ გასასვლელებთან დატანილია EXIT ნიშნები.

ორივე გზა-კიბეს +0.00 ნიშნულზე გააჩნია ორი კარი, რომელთაგან ერთი გადის პირდაპირ შენობის გარეთ და წარმოადგენს აუცილებელ გასასვლელ საშუალებას, ხოლო მეორე ხანძარმედეგი კარი უკავშირდება დერეფანს, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელ გასასვლელ საშუალებას.

აუცილებელ გასასვლელ (საევაკუაციო) გზა-კარს წარმოადგენს ის კარი რომელიც მიემართება უშუალოდ შენობის გარეთ და აღნიშნულია EXIT ნიშნით. აღნიშნული კარი მდებარეობს უშუალოდ მიწის დონეზე და უზრუნველყოფს გზა-კიბიდან შენობის გარეთ დაუბრკოლებელ გამოსვლას. ყოველივე ზემოაღნიშნული აკმაყოფილებს 1027 ქვეთავის მოთხოვნებს.

რაც შეეხება სხვადასხვა დაკავებულობებს შორის ხანძარმედეგობებს იხილეთ საექსპერტო დასკვნა.

რაც შეეხება დამლაგებლის ოთახს, ის არ არის განკუთვნილი საზოგადოებრივი ან საერთო მოხმარებისთვის და ემსახურება მხოლოდ ერთ დამკავებელს. გამომდინარე აქედან მისაწვდომობის გათვალისიწნება არ არის სავალდებულო 1009.2 ქვეთავის გამონაკლისით. აღნიშნულ ოთახში განთავსებულია სამომსახურო ნიჟარა სართულის სველი წესთ დასალაგებლად.

ექსპერტი: სპარტაკ მელიქიშვილი

23.07.2026 წ.